

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2012 წლის 17 დეკემბრის სხდომის

ოქმი №18

სენატში სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა შემოიტანა საკითხი ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტების 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტებში შესატანი ცვლილებების თაობაზე. ამ საკითხის შესახებ სენატის 27 წევრიდან 25 წევრს მიეწოდა ინფორმაცია და გამოკითხვის წესით ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტების 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტებში შესატანი ცვლილებები.

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტების 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების თაობაზე.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემოერთებული კვლევითი ინსტიტუტების 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 4 934 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან - 215 ლარი, საოფისე ტექნიკის, ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის მუხლიდან - 77 ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯებიდან - 813 ლარი, სულ ჯამში - 6 039 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების მუხლში.

ასევე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 840 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან - 150 ლარი, ოფისისათვის სანიტარიული საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯებიდან - 200 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებიდან - 244 ლარი, ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან - 111 ლარი, სულ ჯამში - 1 545 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის მომსახურების, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის მუხლში;

2. კვების მრეწველობის ინსტიტუტის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 1 444 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან - 171 ლარი, წყლის ხარჯიდან - 100 ლარი, საოფისე ტექნიკის, ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის მუხლიდან - 286 ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯებიდან - 105 ლარი, ელექტროენერჯის ხარჯებიდან - 830 ლარი, სულ ჯამში - 2 936 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების მუხლში;

3. ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 7 000 ლარი, დანამატის მუხლიდან - 770 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან - 21 505 ლარი, მივლინების მუხლიდან - 679 ლარი, ოფისის ხარჯების მუხლიდან - 4 209 ლარი, უნიფორმის შეძენის მუხლიდან - 1 511 ლარი, სამეცნიერო ხარჯებიდან - 840 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან - 780 ლარი, სულ ჯამში - 37 294 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების მუხლში;

4. ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 7 195 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან - 41 ლარი, საოფისე ტექნიკის და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის მუხლიდან - 97 ლარი, ელექტროენერჯის ხარჯებიდან - 2 750 ლარი, დასუფთავების ხარჯებიდან - 543 ლარი, სულ ჯამში - 10 626 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების მუხლში.

ასევე, საოფისე ტექნიკისა და ინვენტარ-მოწყობილობების შეძენის ხარჯებიდან 105 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებიდან - 300 ლარი, ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან - 185 ლარი, საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯებიდან - 120 ლარი, სულ ჯამში - 710 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის სანიტარიული საგნებისა და მასალების შეძენის მუხლში;

5. ბიოტექნოლოგიის ცენტრის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 1 153 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან - 100 ლარი, წყლის ხარჯიდან - 1 166 ლარი, სულ ჯამში - 2 419 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების მუხლში;

6. საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 335 ლარი, დანამატის მუხლიდან - 55 ლარი, ელექტროენერჯის ხარჯებიდან - 660 ლარი, წყლის ხარჯებიდან - 90 ლარი, სულ ჯამში - 1 140 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების მუხლში.

ასევე, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 970 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის მუხლში.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებიდან 55 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან - 54 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებიდან - 24 ლარი, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლიდან, რომელიც არ კლასიფიცირდება ხარჯებიდან - 450 ლარი, სულ ჯამში - 583 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის მოვლა-შენახვის, სათადარიგო ნაწილების, ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის მუხლში.

კავშირგაბმულობის ხარჯებიდან 19 ლარი გადატანილ იქნეს საწვავ-საპოხი მასალების შეძენის მუხლში;

7. ინსტიტუტ „ტალღას“ დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 420 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების პრემირების მუხლში;

8. ინსტიტუტ „ტექნიფორმის“ დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 2 855 ლარი, საოფისე ტექნიკიდან - 95 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან - 100 ლარი, წყლის ხარჯიდან - 100 ლარი, ელექტროენერგიის ხარჯიდან - 200 ლარი, სულ ჯამში - 3 350 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში;

9. „ჰიდრომეტეოროლოგიის“ ინსტიტუტის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ელექტროენერგიის ხარჯიდან 490 ლარი გადატანილ იქნეს ხელფასის მუხლში.

ასევე, დანამატის მუხლიდან 635 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან - 27 ლარი, ელექტროენერგიის ხარჯიდან - 75 ლარი, წყლის ხარჯიდან - 70 ლარი, ბუნებრივი აირის ხარჯიდან - 395 ლარი, დასუფთავების ხარჯიდან - 274 ლარი, სულ ჯამში - 1 476 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში;

10. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 4 736 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან - 50 ლარი, საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლიდან - 120 ლარი, ელექტროენერგიის ხარჯიდან - 1 151 ლარი, წყლის ხარჯიდან - 700 ლარი, დასუფთავების ხარჯიდან - 218 ლარი, სულ ჯამში - 6 975 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში;

11. ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 750 ლარი, საკანცელარიო ხარჯებიდან - 25 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯებიდან - 64 ლარი, ინტერნეტის მომსახურების ხარჯებიდან - 290 ლარი, სულ ჯამში - 1 129 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის მუხლში.

ასევე, ხელფასის მუხლიდან 1 623 ლარი, დანამატის მუხლიდან - 120 ლარი, ელექტროენერგიის ხარჯიდან - 470 ლარი, წყლის ხარჯიდან - 20 ლარი, სულ ჯამში - 2 233 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში;

12. ვლ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ხელფასის მუხლიდან 6 675 ლარი, საკანცელარიო ხარჯიდან – 144 ლარი, საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლიდან – 301 ლარი, ელექტროენერჯის ხარჯიდან – 2 300 ლარი, წყლის ხარჯიდან – 401 ლარი, დასუფთავების ხარჯიდან – 240 ლარი, სულ ჯამში – 10 061 ლარი გადატანილ იქნეს პრემირების მუხლში.

ასევე, სატრანსპორტო ხარჯების, საწვავ-საპოხი მასალის შეძენის მუხლიდან 220 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის მუხლში, ხოლო იგივე საწვავ-საპოხი მასალის შეძენიდან – 410 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის დაქირავებისა და გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების მუხლში. საქონელი და მომსახურების სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯებიდან 360 ლარი გადატანილ იქნეს სანიტარიული საგნებისა და მასალების შეძენის მუხლში, ხოლო იგივე მუხლიდან – 90 ლარი გადატანილ იქნეს ტრანსპორტის დაქირავებისა და გადაყვანა-გადაზიდვის ხარჯების მუხლში. მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან – 160 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯიდან – 285 ლარი, ინტერნეტის მომსახურების ხარჯიდან – 579 ლარი, სამეცნიერო ხარჯიდან – 360 ლარი, სულ ჯამში - 1 384 ლარი გადატანილ იქნეს საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის შეძენის მუხლში, ხოლო იგივე სამეცნიერო ხარჯიდან – 740 ლარი გადატანილ იქნეს სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე რემონტისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის მუხლში.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე